Peace Corps
GEORGIA

SITE IDENTIFICATION HANDBOOK
გზამკვლევი ორგანიზაციებისათვის

INDIVIDUAL AND ORGANIZATIONAL DEVELOPMENT

ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარება

Background

The Peace Corps is an international network of Volunteers, community members, host country partners, and staff who each have a unique service journey, defined by an enduring desire to learn and grow. The Peace Corps' approach, grounded in mutual respect and collaboration, is a catalyst for grassroots development. At the invitation of governments around the world, Peace Corps Volunteers work alongside community members on locally-prioritized projects that build relationships, promote knowledge exchange, and make a lasting and measurable impact. Peace Corps Volunteers represent the people of the United States. With humility and intercultural competence, they integrate into and work with their host communities to foster world peace and friendship. Through service, members of the Peace Corps network hone transferable skills that help them become and inspire the next generation of global leaders.

Peace Corps projects are designed and planned in collaboration with stakeholders, host country governmental and non-governmental agencies. The Peace Corps office in Tbilisi coordinates the collaborative work of Volunteers and host agencies. Volunteers are supervised by host country agencies, and not solely by Peace Corps. Local agencies, organizations, and communities also sponsor Volunteers in their communities and provide needed support.

In over 60 years since its founding, more than 242,000 Americans have joined the Peace Corps, serving in 143 countries. Volunteers work in the fields of education, environment, health, community economic development, agriculture, and youth development. Peace Corps began in Georgia in 2001 with an English Education Project. Today, Peace Corps Georgia also has the Individual and Organizational Development Project, Response Project and Virtual Service Pilot with short-term assignments.

Peace Corps Volunteers

The Peace Corps headquarters in Washington, D.C. is responsible for recruiting Volunteers throughout the United States. Peace Corps Volunteers must be American citizens, above eighteen years of age, and must possess the necessary skills and training required for the program for which they apply. Volunteers must intend to devote at least 27 months to carrying out their duties as Volunteers. Volunteers are diverse in terms of age, sex, race/ethnicity, or religion.

Most Volunteers worldwide have at least a bachelor's degree and many possess advanced degrees in their area of expertise. Some are recent graduates, others are mid-career professionals, and some are retired. Approximately equal numbers of men and women serve in the Peace Corps and represent the United States including all facets of its diverse population. Volunteers in the Individual and Organizational Development (IOD) Project arrive with a variety of experience in management, business management, public administration, non-profit management, organizational development, youth development, etc.

Peace Corps Volunteers commit to serving for a minimum of two years. Unlike other development workers, Volunteers are afforded NO special privileges. Often placed in

remote towns and villages, they receive specialized intensive training in Georgian languages, traditions and customs in order to become part of the communities in which they serve. They are also given professional training for their project to ensure that they can adapt and apply their skills effectively in the host country environment. Volunteers receive a modest living allowance, which allows them to live at the same level as the people in their host communities. Volunteers do not provide commodities, equipment, or funds.

მშვიდობის კორპუსის შესახებ

მშვიდობის კორპუსი წარმოადგენს მოხალისეების, საზოგადოების წევრების, მასპინძელი ქვეყნის პარტნიორებისა და თანამშრომლების საერთაშორისო ქსელს, რომელთაგანაც თითოეულს გააჩნია სამსახურის უნიკალური გამოცდილება სწავლისა და ზრდის მუდმივი სურვილით. მშვიდობის კორპუსის მიდგომა, რომელიც ეფუძნება ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობას, ხელს უწყობს ძირეულ განვითარებას. მსოფლიოს მთავრობების მოწვევით, მშვიდობის კორპუსის მოხალისეები მუშაობენ თემის წევრებთან ერთად ადგილობრივ პრიორიტეტულ პროექტებზე, რომლებიც ამყარებენ ურთიერთობებს და ხელს უწყობენ ცოდნის გაზიარებას ხანგრძლივი და გაზომვადი ეფექტით. მშვიდობის კორპუსის მოხალისეები წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს. თავმდაბლობითა და ინტერკულტურული კომპეტენციით, ისინი ინტეგრირდებიან და მუშაობენ თავიანთ მასპინძელ თემთან, რათა ხელი შეუწყონ მსოფლიო მშვიდობასა და მეგობრობას. სამსახურის მეშვეობით, მშვიდობის კორპუსის ქსელის წევრები ივითარებენ ტრანსფერულ უნარებს, რაც მათ ეხმარებათ გახდნენ და ამავდროულად შთააგონონ გლობალური ლიდერების მომავალი თაობა.

მშვიდობის კორპუსის პროექტები მუშავდება დაინტერესებული მხარეების, მასპინძელი მხარის მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და მათთან თანამშრომლობით. მშვიდობის კორპუსის ოფისი, რომელიც მდებარეობს თბილისში, კოორდინირებას უწევს მიმღები მხარისა და მოხალისის კოლაბორაციულ მუშაობას. მოხალისეს ზედამხედველობას უწევს როგორც მშვიდობის კორპუსი, ასევე, მიმღები ორგანიზაციის წარმომადგენლები. მიმღები ორგანიზაცია და თემი მუშაობს მოხალისესთან ერთად და გამოხატავს საჭირო მხარდაჭერას.

მშვიდობის კორპუსის სამოცზე მეტი წლის არსებობის განმავლობაში 242 000-ზე მეტ ამერიკელს უმსახურია მსოფლიოს 143 ქვეყანაში. ისინი მუშაობენ განათლების, გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, თემის ეკონომიკური განვითარების, ახალგაზრდობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში. მშვიდობის კორპუსის პირველი პროექტი საქართველოში ინგლისური ენის სწავლების სფეროში 2001 წელს დაიწყო. ამჟამად მშვიდობის კორპუსი საქართველო ასევე ახორციელებს ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების პროექტს, მიზნობრივი მხარდაჭერის პროექტს და ვირტუალური ჩართულობის საპილოტე პროექტებს მოკლევადიანი დავალებებით.

მშვიდობის კორპუსის მოხალისეების შესახებ

ყოველწლიურად მშვიდობის კორპუსის ვაშინგტონის სათავო ოფისს ათასობით ადამიანი მიმართავს სურვილით, გახდეს მოხალისე. იმისათვის რომ გახდე მშვიდობის კორპუსის მოხალისე, უნდა იყო აუცილებლად ამერიკის მოქალაქე, თვრამეტ წელს გადაცილებული და ფლობდე შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრულ უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებას. შერჩევის შემთხვევაში მოხალისეები მინიმუმ 27 თვის განმავლობაში უსასყიდლოდ მუშაობენ მასპინძელ ქვეყანაში. მოხალისეები შეიძლება იყვნენ

ნებისმიერი ასაკის (18 წელს ზევით), სქესის, კანის ფერისა/ეთნიკური წარმომავლობის თუ რელიგიის წარმომადგენლები.

მოხალისეების უმრავლესობა ფლობს სულ მცირე ბაკალავრის ხარისხს, ბევრ მათგანს კი გააჩნია მოწინავე ხარისხი თავიანთ სპეციალობაში. ზოგი მათგანი კარიერის შუა პერიოდში იმყოფება, ზოგიც - პენსიონერია. მოხალისე მამაკაცებისა და მოხალისე ქალების რაოდენობა მშვიდობის კორპუსში თითქმის თანაბარია, რომლებიც წარმოადგენენ ამერიკის შეერთებულ შტატებს მისი მრავალფეროვანი მოსახლეობის ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ყოველ მათგანს აქვს სხვადახვა საფეხურის საუნივერსიტეტო განათლება. IOD პროექტში ჩართულ მოხალისეებს მიღებული აქვთ გამოცდილება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მენეჯმენტი, ფინანსები, საზოგადოებრივ საქმეთა ადმინისტრირება, არამომგებიანი ორგანიზაციების მენეჯმენტი, ორგანიზაციული განვითარება და ა.შ.

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები სულ მცირე 2 წლის მანძილზე სოფლებსა და ქალაქებში სახლდებიან და მოღვაწეობენ. განსხვავებით სხვა განვითარების თანამშრომლებისაგან, მოხალისეებს არ აქვთ პრივილეგიები. მოხალისეებს უტარდებათ ინტენსიური ტრენინგები ქართველურ ენებში, კულტურაში, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებში, რაც მათ ეხმარებათ გახდნენ იმ თემის ნაწილი, რომელიშიც ისინი მსახურობენ. მათ აგრეთვე უტარდებათ პროფესიული ტრენინგი, რათა მათ შეძლონ ადაპტირება და უნარების ეფექტურად გამოყენება მასპინძელი ქვეყნის გარემოში. მოხალისეები იღებენ მოკრძალებულ სტიპენდიას, რათა იცხოვრონ როგორც საზოგადოების რიგითმა წევრებმა მასპინძელ თემში. მოხალისეები არ უზრუნველყოფენ მასპინძელ საზოგადოებას ტექნიკით, მოწყობილობით ან ფინანსური მხარდაჭერით.

INDIVIDUAL AND ORGANIZATIONAL DEVELOPMENT PROGRAM

The Government of Georgia requested the technical assistance of Peace Corps Volunteers as early as 1994. It was not until April 2001, however, that a formal country agreement was signed between the Government of Georgia and the United States. One month later, Georgia became the newest country in the former Soviet Union to host Peace Corps Volunteers, when the first group of TEFL trainees was welcomed.

As the country's needs evolved, greater focus was given to organizational development and social growth. In response to the expressed needs of the communities and organizations Peace Corps launched Individual and Organizational Development program in 2004.

Project Goal

Citizens of Georgia - especially youth, women, and vulnerable populations—are actively engaged in community work and attain economic well-being with the support of regional and local organizations.

Project Objectives

- Increase the capacity of regional and local organizations to sustainably achieve their missions.
- Promote increased collaboration among regional and local organizations and their stakeholders.
- Develop individuals' skills - especially for youth, women, and vulnerable populations - to pursue new or existing economic opportunities.

VOLUNTEER PLACEMENT

Peace Corps Volunteers who work in the Individual and Organizational Development project are placed in those communities and organizations in the regions of Georgia where their assistance is most needed and where there is the greatest interest in and support for the Volunteer work. Volunteers will not replace or substitute qualified and available Georgian workers of the organizations to which they are assigned. The Volunteer will be working alongside their Georgian counterparts to fulfill the goals of the project and promote sustainable organizational and community development.

Within IOD project Volunteers accomplish wide variety of activities, here are just a few examples:

- Trainings for organization members, adults, and youth in project design and management, budgeting, leadership, digital literacy, English for work, and entrepreneurial behaviors.
- Developing grant proposals, needs and capacity assessments, communications, and public relations materials for organizations.
- Assisting with development of sustainable program and projects, as well as 21st century skills (critical thinking, creativity, collaboration, communication, technology, flexibility, leadership, initiative, productivity, social skills).
- During the first few months in their communities, the Volunteer will spend time adjusting and settling into a new living and working environment. During this period, they will live with a selected host family, learn about the community and

surrounding area, study Georgian language, learn about the organization, the community and get acquainted with their colleagues.

- Apart from their primary assignment, Volunteers engage in different community-initiated projects. Using their skills, interests, and experience, and in accordance with locally expressed needs, Volunteers will assist communities in developing and enhancing educational, health, agricultural, environmental, and other social projects. Volunteers may implement projects in their own community, or they may participate in projects in other communities.

ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების (IOD) პროექტის შესახებ

საქართველოს მთავრობამ ითხოვა მშვიდობის კორპუსის მოხალისეების მხარდაჭერა ჯერ კიდევ 1994 წელს, მაგრამ ოფიციალურ შეთანხმებას საქართველოსა და ამერიკის მთავრობებს შორის ხელი 2001 წელს მოეწერა. ერთი თვის შემდეგ საქართველო გახდა უახლესი ქვეყანა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, რომელმაც უმასპინძლა ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლების პროგრამის მოხალისეებს.

ქვეყნის საჭიროებების განვითარების პარალელურად, მეტი ყურადღება დაეთმო ორგანიზაციულ განვითარებასა და სოციალურ ზრდას. თემებისა და ორგანიზაციების მოთხოვნების საპასუხოდ, მშვიდობის კორპუსმა წამოიწყო ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების (IOD) პროგრამა.

პროექტის მიზანია:

საქართველოს მოსახლეობა - კონკრეტულად ახალგაზრდები, ქალები და მოწყვლადი ჯგუფები - რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით, ჩაერთონ სათემო და საზოგადოებრივ საქმიანობაში და მიაღწიონ ეკონომიკურ კეთილდღეობას.

პროექტის ამოცანებია:

- ორგანიზაციული შესაძლებლობების გაზრდა.
- ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.
- ადამიანების ეკონომიკური წინსვლის ხელშეწყობა.

მოხალისეების განთავსება

IOD-ის პროექტში ჩართული მშვიდობის კორპუსის მოხალისეები ნაწილდებიან საქართველოს რეგიონების იმ თემებსა და ორგანიზაციებში, სადაც მათი მხარდაჭერის მეტი საჭიროება და დაინტერესებაა. **მოხალისეები ორგანიზაციაში არ შეცვლიან კვალიფიცირებულ ადგილობრივ თანამშრომლებს,** არამედ ითანამშრომლებენ ქართველ პარტნიორებთან, როგორც პროექტის განხორციელებისთვის, ისე მდგრადი ორგანიზაციული და სათემო განვითარების ხელშეწყობისთვის.

IOD-ის ფარგლებში მოხალისეები ახორციელებენ ფართო სპექტრის ღონისძიებებს. აქ წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს:

- ტრენინგების ჩატარება ორგანიზაციის წევრებისთვის, უფროსებისა და ახალგაზრდებისთვის პროექტის დიზაინსა და მართვაში, ბიუჯეტირების, ლიდერობის, ციფრული წიგნიერების, სამეწარმეო ქცევის საკითხებში, ისევე როგორც პროფესიულ ინგლისურში.
- ორგანიზაციებისთვის საგრანტო წინადადებების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების შეფასების, კომუნიკაციებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მასალების შემუშავება.

- მდგრადი პროგრამებისა და პროექტების განვითარებაში დახმარება, ასევე 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ტექნოლოგია, მოქნილობა, ლიდერობა, ინიციატივა, პროდუქტიულობა, სოციალური უნარები) განვითარებაში მხარდაჭერა.

თემში პირველი რამოდენიმე თვის განმავლობაში მოხალისეები ეჩვევიან ახალ საცხოვრებელ და სამუშაო გარემოს. ამ პერიოდში ისინი ეცნობიან თავის მასპინძელ ოჯახს, ადგილობრივ საზოგადოებას, თემს, გარემოს, ორგანიზაციას, კოლეგებს, სწავლობენ ქართულ ენას.

ძირითადი მოვალეობების გარდა, მოხალისეები ჩაერთვებიან თემის მიერ წამოწყებულ სხვადასხვა პროექტში. თავიანთი უნარების, გამოცდილებისა და ინტერესების გამოყენებით და ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, ისინი დაეხმარებიან თემებს საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, სასოფლო-სამეურნეო, გარემოსდაცვითი და სხვა სოციალური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. მოხალისეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც საკუთარი, ისე სხვა თემების მიერ ინიცირებულ პროექტებში.

Peace Corps
GEORGIA

IOD Logical Project Framework

PEACE CORPS GEORGIA | Individual & Organizational Development

PROJECT GOAL: Citizens of Georgia—especially youth, women and vulnerable populations—are actively engaged in community work and attain economic well-being with the support of regional and local organizations.

OBJECTIVES	ACTIVITIES	SHORT-TERM OUTCOMES	LONG-TERM OUTCOMES
1) Organizational capacity	• Organizational capacity assessment • Action planning for organizational development • Organizational development training • Organizational development guiding • Project design & management guiding	Community organizations demonstrate improved performance	Regional and local organizations sustainably address local priorities and needs
2) Organizational collaboration	• Participatory ecosystem mapping • Creation and/or improvement of feedback loops • Community engagement trainings (e.g. volunteerism, PDM, etc.) • Events for exchanging knowledge	Community organizations demonstrate increased collaboration with their stakeholders and other community organizations	A diverse network of individuals and organizations engage in and strengthen community and society at large
3) Individuals' economic advancement	• Employability skills training • Employability skills guiding • Digital literacy training • Digital literacy guiding • English (for work purposes) training • Entrepreneurship training • Entrepreneurship guiding	Individuals demonstrate increased employability skills Individuals demonstrate increased vocational skills Individuals demonstrate increased entrepreneurship behaviors	Individuals secure employment or create self-employment opportunities

ინდივიდუალური და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარების პროექტის გეგმა



MINIMUM SITE SELECTION CRITERIA FOR THE COMMUNITY

SAFETY & SECURITY
1.The political and social environment of the site is stable and does not present significant security concerns. (Please note: the community must be in Kakheti (except north of Akhmeta), Kvemo Kartli, Mtskheta-Mtianeti (except Stepantsminda and north of Stepantsminda), Shida Kartli, Samtskhe-Javakheti, Imereti, Racha-Lechkhumi, Svaneti, Samegrelo, Ajara or Guria regions. Villages and towns located within 5km of the Administrative Boundary Lines (ABLs) of South Ossetia or Abkhazia are not eligible.) The community agrees to provide information about the proximity of the community to nearby military installations, airfields, or any radar facilities as well as any ongoing large-scale construction projects.
2.The level of violent crime, harassment, burglaries, or known dangerous individuals in the area that has/have affected existing or previous Volunteers is not of a nature that poses a risk to the safety and security of a new Volunteer. Site has no significant violent crime activity or gang-related activity and is not known as a drug trafficking route.
3.Risks due to natural disasters can be minimized through planning, prevention, and mitigating measures. (Please note: The community may have a history of minor natural disasters, but these were able to be minimized through planning, prevention, and mitigating measures.)
4.The community is not aware of safety and/or security incidents in the community that would prevent the placement of future Volunteers.
MEDICAL
5.Emergency medical service (i.e., ambulance service) is available under normal operating circumstances to support this community.
6.Known endemic diseases that may be present in the community can generally be avoided through awareness and prevention.
7.There are no known environmental health hazards in the community that might prevent the placement of a Volunteer.
FOOD, WATER & HOUSING
8.The community worksite and proposed housing have access to treatable water sources.
9.Basic consumable items are available in the community or within two hours of the community.
10.Housing is available that meets (or can be brought into compliance with) the post's Housing Criteria Checklist shown below.
TRANSPORTATION
11. The site is accessible all year round, and there are emergency transportation options available not more than one hour (travel time) from the site. Travel time can include traveling by foot, bike, or vehicle.
COMMUNICATION

12. Volunteer will have access to a reliable means of communication during a day. Post must be able to communicate with the Volunteer within a 24-hour period.
13. There is cell phone, land line, satellite phone, radio, or Internet service available that allows for communication to be sent and received. This service must be no more than one hour (travel time) from the Volunteer’s home.

თემის შესარჩევი მინიმალური კრიტერიუმები

უსაფრთხოება
1.თემის პოლიტიკური და სოციალური გარემო სტაბილურია და არ არის წარმოდგენილი რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა უსაფრთხოების მხრივ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ: თემი უნდა მდებარეობდეს კახეთში (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე დასახლებების გარდა), ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში (სტეფანწმინდისა და სტეფანწმინდის ჩრდილოეთით მდებარე დასახლებების გარდა), შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, სამეგრელოში, აჭარისა და გურიის რეგიონებში. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლიდან ხუთ-კილომეტრიან მონაკვეთში მდებარე დასახლებებს კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ). თემი თანხმობას აცხადებს, მოგვაწოდოს ინფორმაცია სამხედრო დასახლებების, ასაფრენი მოედნის, სარადარე მოწყობილობისა თუ ნებისმიერი ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების სიახლოვის შესახებ.
2.ძალადობრივი დანაშაულის დონე, შევიწროვება, ძარცვა ან ცნობილი სახიფათო პირები, რომლებმაც უარყოფითად იმოქმედეს ახლა ან მანამდე არსებულ მოხალისეებზე, არ უქმნის საფრთხეს ახალი მოხალისის უსაფრთხოებას. თემში არ არის წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ძალადობრივი დანაშაულის ან ბანდასთან დაკავშირებული აქტივობა და ის არ არის ცნობილი, როგორც ნარკოტიკებით ვაჭრობის მარშრუტი.
3.სტიქიური უბედურებებით გამოწვეული რისკების მინიმუმამდე შემცირება შესაძლებელია დაგეგმვის, პრევენციისა და შემარბილებელი ზომების მიღების მეშვეობით. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ: თემში შეიძლება, არსებობდეს მცირე სტიქიური კატასტროფების ისტორია, რომელიც მინიმუმამდე შემცირდა დაგეგმვის, პრევენციისა და შემარბილებელი ზომების მიღების შედეგად).
4.თემში არ არსებობს ინფორმაცია ისეთი უსაფრთხოების ინციდენტის შესახებ, რომელიც ხელს შეუშლის მომავალი მოხალისეების განთავსებას.
სამედიცინო ნაწილი
5.გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (ანუ სასწრაფო დახმარების სერვისი) ხელმისაწვდომია ჩვეულებრივ სამუშაო პირობებში ამ თემის მხარდასაჭერად.
6.ცნობილი ენდემური დაავადებები, რომლებიც შეიძლება იყოს საზოგადოებაში, შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ინფორმირებულობისა და პრევენციის გზით.
7.თემში არ არსებობს ინფორმაცია ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოს შესახებ, რომელმაცშეიძლება, ხელი შეუშალოს მოხალისეების განთავსებას.
საკვები, წყალი და საცხოვრებელი
8. თემში არსებულ სამუშაო ადგილსა და შემოთავაზებულ საცხოვრებელს წვდომა აქვს წყლის დასამუშავებელ/გამწმენდ წყაროებზე.
9. ძირითადი სამომხმარებლო ნივთები ხელმისაწვდომია თემში, ან თემის ირგვლივ ორი საათის სავალ მანძილზე.

10. ხელმისაწვდომია საცხოვრებელი სახლი, რომელიც აკმაყოფილებს (ან შეიძლება შესაბამისობაში მოიყვანონ) პოსტის საცხოვრებელი სახლის კრიტერიუმების ჩამონათვალს, რომელიც ნაჩვენებია ქვემოთ.
ტრანსპორტი
11.თემში ტრანსპორტით მისვლა შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია საგანგებო სიტუაციისთვის განკუთვნილი ტრანსპორტის გამოყენება, რომელიც თემიდან მაქსიმუმ ერთი საათის სავალ მანძილზე იქნება ხელმისაწვდომი. მგზავრობის დრო შეიძლება გულისხმობდეს როგორც ფეხით, ასევე ველოსიპედითა და სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებას.
კომუნიკაცია
12. მოხალისეს დღის მანძილზე წვდომა ექნება კომუნიკაციის სანდო საშუალებებზე. მშვიდობის კორპუსს უნდა შეეძლოს მოხალისეთან დაკავშირება 24 საათიან ვადაში.
13.თემში ხელმისაწვდომია მობილური ტელეფონი, ქსელის ტელეფონი, რადიო ან ინტერნეტი, რომელიც იძლევა კომუნიკაციის საშუალებას. მომსახურების მიღება შესაძლებელი უნდა იყოს მოხალისის სახლიდან მაქსიმუმ ერთი საათის სავალ მანძილზე.

MINIMUM ***AND DESIRED*** CRITERIA FOR PRIMARY WORK ASSIGNMENT (INDIVIDUAL AND ORGANIZATIONAL DEVELOPMENT)

PRIMARY WORK ASSIGNMENT
Local community leaders and representatives (such as directors, counterparts, and other community members) are supportive of hosting a Volunteer and are willing to support as needed.
Organization will submit a formal Volunteer Request Form and/or has demonstrated organizational need and a strong interest in and commitment to host and support a Volunteer.
Organizational and community priorities are consistent with the IOD project Logical Project Framework (LPF) objectives and activities.
There is a clearly defined role, sufficient workload (at least 30 hours per week), and a workspace appropriate to local workplace standards for the Volunteer.
There is/are available, interested, and committed counterpart(s) in the host agency willing to work with and provide support to the Volunteer.
Local community leaders and representatives (such as directors, counterparts, and other community members) actively seek out and identify viable host family options.
The Director/the designee and at least one Counterpart express readiness to participate in Peace Corps sponsored orientations, trainings, and events.
The host agency is willing to cover all business travel related expenses of the Volunteer if required by the organization. (This may include transportation, per diem, and/or conference costs, etc. at the same level as a local staff person.)
There is an English speaker on staff that is willing to work with the Volunteer.
The Head of the organization and/or Volunteer's Counterpart are willing to develop an action plan with the Volunteer specifying his/her duties and responsibilities.
The Director and Counterpart(s) are willing to support Volunteer to engage professionally with youth in their community and be willing to cooperate with the Volunteer on youth focused projects.
There is a potential for partnership or collaboration with other groups or organizations in the community for secondary/community activities. This may be formal or informal groups, or any community members interested in working on activities with the Volunteer.
The host agency staff are open and willing to assist the Volunteer with learning the Georgian language, learning about important cultural information, and to adjust to life in Georgia.

სამუშაო ადგილის შერჩევის მინიმალური და *სასურველი* კრიტერიუმები (ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარება)

პირველადი პროექტი
ადგილობრივი თემის ლიდერები და წარმომადგენლები (პარტნიორები და თემის სხვა წევრები) გამოხატავენ მშვიდობის კორპუსის მოხალისის მასპინძლობის მხარდაჭერასა და სურვილს, აღმოუჩინონ დახმარება საჭიროების შემთხვევაში.
მასპინძელი ორგანიზაციები წარმოადგენენ სააპლიკაციო ფორმას, აქვთ ორგანიზაციული საჭიროება და მოხალისის მასპინძლობის ძლიერ ინტერესს გამოხატავენ.
ორგანიზაციისა და თემის პრიორიტეტები ემთხვევა ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების პროექტის მიზნებსა და ამოცანებს.
ორგანიზაციაში არსებობს მოხალისისთვის განსაზღვრული როლი, საკმარისი სამუშაო დატვირთვა (30 საათი კვირაში მაინც), და სამუშაო ადგილი, რომელიც შეესაბამება ადგილობრივ სამუშაო სტანდარტებს.
ორგანიზაციაში არის/არიან დაინტერესებული პარტნიორები, რომელთაც სურთ, იმუშაონ მოხალისესთან და მხარი დაუჭირონ მას.
ადგილობრივი თემის ლიდერები და წარმომადგენლები (დირექტორები, პარტნიორები, და თემის სხვა წევრები) აქტიურად ეძებენ და არჩევენ შესაძლო მასპინძელი ოჯახის ვარიანტებს.
მოხალისის ხელმძღვანელი და/ან მინიმუმ ერთი კოლეგა გამოხატავს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს მშვიდობის კორპუსის მიერ დაფინანსებულ ორიენტაციაში, ტრენინგებსა და ღონისძიებებში.
ორგანიზაციამ უნდა დაფაროს მოხალისის სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (მაგალითად, სამუშაო მივლინება (ტრანსპორტი, სასტუმრო), კონფერენცია, ინტერნეტი, საკანცელარიო და ა.შ.; იმავე დონეზე, როგორც ეს ხდება ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებთან მიმართებაში).
ორგანიზაციაში არის ინგლისურად მოსაუბრე თანამშრომელი, რომელსაც სურვილი აქვს, დაეხმაროს და იმუშაოს მოხალისესთან.;
ორგანიზაციის დირექტორმა და/ან პარტნიორმა და მოხალისემ ერთობლივად უნდა დასახონ სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს მოხალისის ვალდებულებებსა და მოვალეობებს.
დირექტორს და პარტნიორს აქვთ სურვილი, მხარი დაუჭირონ მოხალისეს, გაიცნოს და იმუშაოს თემის ახალგაზრდებთან და ითანამშრომლონ მოხალისესთან ახალგაზრდულ პროექტებზე.
თემში არსებობს სხვა ჯგუფებთან ან ორგანიზაციებთან მეორად პროექტებზე თანამშრომლობის პოტენციალი. ეს შეიძლება იყოს ფორმალური ან არაფორმალური ჯგუფები, ან თემის ნებისმიერი წევრი, რომელიც დაინტერესებული იქნება

მოხალისესთან მუშაობით.
ორგანიზაციის თანამშრომლებს აქვთ სურვილი, დაეხმარონ მოხალისეს ქართული ენის სწავლაში, კულტურასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებასა და ქართულ ცხოვრების წესთან შეგუებაში

Housing

Minimum and ***Desired*** Homestay Criteria

LOCATION
The residence is visible from the street or walking path and no more than 50 m from the nearest occupied house.
Interviews with community members and/or police suggest area has a relatively low crime rate and is not near dangerous or high-risk areas (possible examples include bars, casinos, bus stations, etc.).
The residence has not been recently burglarized OR improvements have been made to avoid future burglaries.
The residence is within a reasonable distance (4 km safe walking distance or up to 20 km with reliable transportation) to the Volunteer's workplace.
The residence is located within 4 km safe walking distance to a store where basic food items can be purchased.
HOUSE MATERIAL / TYPE OF HOUSE
The residence is solidly constructed of cement block, concrete, bricks, or solid wood walls. The house must be free of visible structural damage (e.g., no large cracks on the walls or floor, the building is not leaning, etc.)
Outdoor lighting around the residence is recommended.
COOKING SAFETY
The residence provides adequate space and equipment to safely cook meals and store cooking equipment. If propane tanks/cylinders are used for cooking, then they should be placed outdoors. If outdoor placement is not possible, the residence must have two air intakes in the room (preferably on separate walls) where the stove is located and sufficient space to allow the tanks to be placed at least 1.5m from the stove, and the Volunteer will be required to conduct monthly testing of cooking/gas equipment. In addition, all homes that use natural gas or propane for cooking or heating, must use a plug-in gas detector and fire extinguisher (the Volunteer will provide them).
The cooking area of the house must be free of pests (such as rodents or insect infestation).
A functional refrigerator is available at home.
DOORS
All doors to the Volunteer's room must be made of a solid material and there must be a system in place to lock the door from the outside and the inside.
WINDOWS
All windows in the Volunteer's room must have solid frames that can be securely locked from the inside. Windows must be enhanced with a locally appropriate deterrent.
The windows of the Volunteer's room must have bars if the room is located on the ground

floor and is in direct contact to the street or road (applicable to urban areas only).
ROOM FURNISHINGS
There is basic furniture in the Volunteer's room, including bed, desk/table and chair, lamp, and a place to store clothing (wardrobe and/or dresser).
ROOF
The roof must be made of solid material, be structurally sound, and must not leak.
The space between the top of the house's exterior walls and the roof must not allow intruders or pests to enter the house.
ELECTRICITY
Electricity wiring should be in good condition with no visible breaks, burns, melts, or naked wiring. Electrical outlets and switches are expected to be in working condition.
COMMUNICATION
The residence house must have reliable cell phone coverage through either Magti, Silknet, or Cellfie.
WATER & SANITATION
The latrine or toilet and bathing area must be located in the house or within 10m of the house.
If there is a latrine, it must be of sturdy construction (not of plastic sheeting or cloth) and meet basic hygiene standards. The latrine must be relatively clean, not full, and free of pests.
When the latrine and/or bathing area are separate from the house, they must have mechanisms on the inside to secure the door and they must provide adequate cover and privacy.
Residence must have year-round accessibility to a potable or treatable water source. If water shortages are normal, house must have proper storage tanks/barrels for emergency use.
Facilities for heating water for a bath or shower are available at home.
If tankless gas heaters are used in the house for water heating purposes, then they should be of the dual burning type (the one that consumes oxygen from outside).
Residence is free from visible signs of mold and/or pervasive small of mold.
Facilities for washing clothes are available at home.
NATURAL DISASTERS
Residence is not at apparent risk for natural disasters (e.g., not on a flood plain, or near cliff edges or bases of landslide-prone hills, in the bottom of steep terrain or on the terrain itself, land that has been modified due to human activity, such as deforestation or construction, channels along a stream or river, etc.*)*
FAMILY SAFETY

The family has a good reputation in the community and all adult family members are willing to give authorization for Peace Corps to conduct a Criminal Record Check.
DISEASE AND INFECTION
No family members in the household have infectious diseases such as tuberculosis, etc.
All household pets have been vaccinated for rabies.
FAMILY INTEREST AND PREPAREDNESS
At least one adult member of the family expresses readiness to participate in Peace Corps sponsored orientations, trainings, and events
All adult family members will be available to meet with Peace Corps staff.
Preferably (not required) at least one member of the family can speak a basic level of English.
All family members are enthusiastic about hosting a Volunteer.

საცხოვრებელი პირობები

მასპინძელი ოჯახის შერჩევის მინიმუმი და სასურველი კრიტერიუმები

ადგილმდებარეობა
საცხოვრებელი სახლი კარგად ჩანს ქუჩიდან ან ფეხით სავალი ბილიკიდან და მდებარეობს არაუმეტეს 50 მეტრის მოშორებით უახლოესი დასახლებული პუნქტიდან.
თემის წევრებთან და/ან პოლიციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ უბანს, სადაც მდებარეობს საცხოვრებელი სახლი, აქვს დანაშაულის დაბალი მაჩვენებელი და არ მდებარეობს სახიფათო ან მაღალი რისკის ზონებთან ახლოს (შესაძლო მაგალითებია ბარი, კაზინო, ავტობუსის სადგურები და ა.შ.).
უახლოეს წარსულში, საცხოვრებელ სახლში არ მომხდარა ძარცვა/ ყაჩაღობა ან უსაფრთხოების კუთხით სახლი კეთილმოეწყო მომავალში ძარცვის/ ყაჩაღობის საფრთხის შესამცირებლად.
მოხალისის საცხოვრებელი ადგილიდან მის სამუშაო ადგილამდე ფეხით სავალი მანძილი არ აღემატება 4 კმ-ს, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის შემთხვევაში - 20 კმ-ს.
საცხოვრებელი სახლი განთავსებულია არაუმეტეს 4 კმ-ის დაშორებით მაღაზიიდან, სადაც ელემეტარული საკვების შეძენა არის შესაძლებელი.
სახლის მასალა/სახლის ტიპი
სახლი უნდა იყოს აშენებული მყარი მასალისაგან, რომელიც საკმარისად გამძლეა უცხო პირის შემოჭრის თავიდან ასარიდებლად (მაგალითად: ცემენტის ბლოკი, ბეტონი, ტალახის აგური, აგური ან მყარი ხის კედლები).
ღამით რეკომენდებულია გარე განათება საცხოვრებელი სახლის გარშემო.
სამზარეულოს უსაფრთხოება
მოხალისის საცხოვრბელში არის შესაბამისი სივრცე და აღჭურვილობა საჭმლის უსაფრთხოდ მოსამზადებლად და აღჭურვილობის შესანახად. თუ სამზარეულოში გამოიყენება პროპანის/გაზის ბალონები, ისინი უნდა იყოს მოთავსებული ღია სივრცეში. თუ მათი განთავსება გარეთ შეუძლებელია, აუცილებელია, სამზარეულოს ჰქონდეს ჰაერის მიმოქცევის ორი წყარო, სასურველია, სხვასასხვა კედელზე, და საკმარისი ადგილი, რომ პროპანის, გაზის ბალონი განთავსდეს გაზქურიდან მინიმუმ 1.5 მეტრის მოშორებით. მოხალისეს დაევალება სამზარეულოს/ბუნებრივი აირის აღჭურვილობის ყოველთვიური შემოწმება. ამასთან ერთად, სახლებში, სადაც გამოიყენება ბუნებრივი აირი ან პროპანის ბალონები საკვების მოსამზადებლად ან გასათბობად, უნდა იყოს განთავსებული ბუნებრივი აირის დეტექტორი და ცეცხლმაქრი საშუალება, რომლებსაც მოხალისე მოიტანს.
სამზარეულო თავისუფალი უნდა იყოს მავნებლებისგან (მაგალითად მღრღნელების

ან მწერების გროვისგან).
სახლში უნდა იყოს მოქმედი მაცივარი.
კარი
მოხალისის ოთახის ყველა კარი დამზადებული უნდა იყოს მყარი მასალისგან და უნდა ჰქონდეს საკეტი, რომელიც დაკეტავს კარს როგორც გარედან, ისე შიგნიდან.
ფანჯრები
ფანჯრებს უნდა ჰქონდეს მყარი ჩარჩო, რომელიც საიმედოდ დაიკეტება შიდა მხრიდან. ფანჯრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადგილობრივი თემისთვის შესაფერისი შემაკავებლით.
მოხალისის ოთახის ფანჯრები აღჭურვილი უნდა იყოს გისოსებით იმ შემთხვევაში, თუ ოთახი მდებარეობს პირველ სართულზე და ფანჯრები გადის პირდაპირ ქუჩაში ან გზაზე (მხოლოდ ურბანული დასახლებებისთვის)
ავეჯი ოთახში
მოხალისის ოთახში უნდა იყოს ელემენტარული ავეჯი, როგორიცაა საწოლი, მაგიდა, სკამი, ნათურა და კარადა ტანსაცმლის შესანახად.
სახურავი
სახურავი მყარი მასალით უნდა იყოს დამზადებული და არ უნდა ჟონავდეს.
სივრცე სახლის გარე კედელსა და სახურავს შორის არ უნდა იძლეოდეს სახლში შემოჭრის ან მავნებლების შემოსვლის საშუალებას.
ელექტრობა
ელექტრო გაყვანილობა უნდა იყოს უსაფრთხო, არ უნდა აღენიშნებოდეს დაზიანებული, დამწვარი, დამდნარი ან მოშიშვლებული მონაკვეთები. ელექტრო ჩამრთველები და როზეტები უნდა იყოს მოქმედ მდგომარეობაში.
კომუნიკაცია
საცხოვრებელ სახლს უნდა გააჩნდეს სანდო მობილური დაფარვის ზონა Magti, Silknet, ან Cellfie-ს ქსელებისთვის.
წყალი – სანიტარია
საპირფარეშო და სააბაზანო სივრცე უნდა მდებარეობდეს სახლში ან არაუმეტეს 10 მეტრის დაშორებით სახლიდან.
თუ სახლში არის გარე (ეზოს) საპირფარეშო, ის უნდა იყოს მყარი კონსტრუქციის (არა პლასტმასის ან ქსოვილის), და უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენის ძირითად სტანდარტებს. საპირფარეშო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად სუფთა, არ უნდა იყოს სავსე და არ უნდა ბინადრობდნენ მავნებლები.
თუ საპირფარეშო და სააბაზანო სივრცე სახლიდან ცალკე მდებარეობს, ისინი საიმედოდ უნდა იკეტებოდეს შიგნიდან და გარედან. გარედან შიგნით შეხედვის საშუალება არ უნდა არსებობდეს.

თუ წყალი ხშირად წყდება, სახლს უნდა ჰქონდეს წყლის ავზი საგანგებო შემთხვევებში გამოსაყენებლად. სახლში მთელი წლის განმავლობაში უნდა არსებობდეს სასმელი წყლის დასამუშავებელი/გასაწმენდი საშუალება.
სახლში უნდა არსებობდეს აბაზანისთვის ან შხაპისთვის წყლის გაცხელების საშუალებები.
თუ წყლის გაცხელების უავზო საშუალებები გამოიყენება სახლში, მათ უნდა გააჩნდეთ ორმაგი წვის ფუნქცია (ჟანგბადს უნდა იღებდნენ გარედან).
სახლში არ უნდა იყოს ნესტის ნიშნები.
სახლში უნდა იყოს ტანსაცმლის გარეცხვის საშუალება.
ბუნებრივი კატასტროფები
სახლი არ უნდა მდებარეობდეს ბუნებრივი კატასტროფების აშკარა რისკის ზონაში (მაგ: დატბორილ ვაკეზე, კლდის ციცაბო ფერდობზე ან მიწის ჩამოშლის საშიშროების ზონაში, ციცაბო ფერდობის ძირში ან თვითონ ფერდობზე, მიწაზე, რომელმაც სახე იცვალა ადამიანის აქტივობის შედეგად, მაგალითად, ტყის გაჩეხვა ან მშენებლობა, არხები ან კალაპოტ-შეცვლილი მდინარეები და ასე შემდეგ.)
ოჯახის უსაფრთხოება
ოჯახს თემში უნდა ჰქონეს კარგი რეპუტაცია და ოჯახის ყველა ზრდასრულმა წევრმა თანხმობა უნდა განახცადოს ნასამართლეობის შემოწმებაზე.
ავადმყოფობა და ინფექციები
ოჯახის წევრები არ არიან დაავადებული ინფექციური ავადმყოფობებით, როგორიცაა ტუბერკულოზი და ასე შემდეგ.
სახლის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა შინაური ცხოველი აცრილი უნდა იყოს ცოფზე.
ოჯახის მოტივაცია და მომზადება
ოჯახის ერთი ზრდასრული წევრი მაინც უნდა გამოთქვამდეს მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს მშვიდობის კორპუსის მიერ ორგანიზებულ ორიენტაციებში, ტრენინგებსა და ღონისძიებებში.
ოჯახის ყველა ზრდასრულ წევრს უნდა შეეძლოს, შეხვდეს მშვიდობის კორპუსის თანამშრომლებს.
სასურველია (და არა სავალდებულო), რომ ოჯახის ერთი წევრი მაინც საუბრობდეს ინგლისურ ენაზე საბაზისო დონეზე.
ოჯახის ყველა წევრი ენთუზიაზმით უნდა ეკიდებოდეს მშვიდობის კორპუსის მოხალისის მასპინძლობას.

ALLOWANCE

- Peace Corps pays Host Families a monthly allowance of 730 GEL, in return Host families should provide the Volunteer with welcoming environment, accommodation and daily food.
- Families also receive additional 95 GEL per month (making it 825 GEL) for heating from October through March. Host families should make sure Volunteer stays warm during that period of time.

სტიპენდია

- მშვიდობის კორპუსი მასპინძელ ოჯახს ყოველთვიურად უხდის 730 ლარს, რის ფარგლებშიც მასპინძელმა ოჯახმა უნდა მიიღოს მოხალისე, როგორც ოჯახის წევრი და უზრუნველყოს ის საცხოვრებელი პირობებითა და ყოველდღიური კვებით.
- ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით ოჯახები ყოველთვიურად დამატებით 95 ლარს (საერთო ჯამში 825 ლარს) მიიღებენ გათბობის ხარჯების დასაფარად. მასპინძელი ოჯახი უნდა დარწმუნდეს, რომ მოხალისის ოთახი საკმარისად თბება აღნიშნული თვეების განმავლობაში.

RECOMMENDATIONS RELATED TO HOMESTAY PROGRAM:

- Some of the above-mentioned criteria may not be in place currently or during the survey, but the family must agree that, in case Peace Corps approves their home for a Volunteer, they will complete the requested improvements before the Volunteer's arrival (e.g., install locks on the bedroom and bathroom doors, place desk and lamp in the bedroom, etc.)

- Once you decide to apply to host a Peace Corps Volunteer start to think of host family recruitment right away. Make an announcement to all the staff members of your organization, regardless of their position as well as to the members of the community.

- Please remember, that it is not allowed for the Volunteers to live with their supervisors and potential counterparts.

- Peace Corps encourages you to organize community meetings to spread the information out to community members. Remember, any interested family who satisfies selection criteria can host a Volunteer regardless their affiliation to organization, except for the above-mentioned limitations.

- Distribute the host family brochures to interested potential host families.

- Make sure families submitted to Peace Corps are already aware of the basic conditions of the Homestay program and are truly willing to have PC Volunteer from 3 to 24 months in their homes.

- Make sure submitted families understand that the payment of 730 Gel (825 Gel October-March) is not rent, but an amount to help cover the costs of food, electricity, gas, water, etc.

- Make sure that there is a safe living environment at the family for volunteer considering family members' lifestyle and background.

მასპინძელი ოჯახების პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

- დასაშვებია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ოჯახი არ აკმაყოფილებდეს ზოგიერთ მათგანს ნომინირების ეტაპზე ან პროგრამის სპეციალისტის ვიზიტის დროს, თუმცა მათი უზრუნველყოფა შესაძლებელი იყოს ოჯახის შერჩევის შემდეგ. თუმცა, მასპინძლებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ გააზრებული, რომ თუკი მშვიდობის კორპუსი გადაწყვეტს მოხალისის განთავსებას მათ ოჯახში, მაშინ აუცილებლად უნდა დააკმაყოფილონ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი მოხალისის ოჯახში ჩასვლამდე (მაგალითად, მოხალისის საძინებლის კარზე საკეტის განახლება, საწერი მაგიდის განთავსება მოხალისის ოთახში და ა.შ.).

- როგორც კი გადაწყვეტთ მშვიდობის კორპუსის მოხალისის მასპინძლობისთვის განაცხადის შემოტანას, მაშინვე დაიწყეთ მასპინძელი ოჯახების შერჩევაზე ფიქრი. ინფორმაცია მიაწოდეთ როგორც ორგანიზაციის ყველა თანამშრომელს, ასევე თემის სხვადასხვა წევრს.

- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მოხალისეს არ შეუძლია მისი ხელმძღვანელის ან მეწყვილის ოჯახში ცხოვრება.

- მშვიდობის კორპუსი მოგიწოდებთ, რომ გამართოთ სათემო შეხვედრები ინფორმაციის გასავრცელებლად. გახსოვდეთ, ნებისმიერ დაინტერესებულ ოჯახს, რომელიც აკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს, შეუძლია უმასპინძლოს მოხალისეს (გარდა ზემოთ აღნიშნული შეზღუდვებისა).

- გაავრცელეთ მასპინძელი ოჯახის ბროშურები დაინტერესებულ პოტენციურ მასპინძელ ოჯახებს შორის.

- დარწმუნდით, რომ იმ მასპინძელ ოჯახებს, რომლებსაც მშვიდობის კორპუსს წარმოუდგენთ კარგად ესმით მასპინძელი ოჯახის პროგრამის მთავარი პირობები და ნამდვილად სურთ მოხალისის მასპინძლობა 3-დან 24 თვემდე თავიანთ ოჯახებში.

- დარწმუნდით, რომ წარმოდგენილ ოჯახებს ესმით, რომ 730 ლარი (825 ლარი ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით) ანაზღაურება არაა ბინის ქირა, არამედ ეს არის თანხა იმისათვის, რომ ოჯახმა დაფაროს კვების, ელექტროენერგიის, გაზის, წყლისა და სხვა ხარჯები.

- დარწმუნდით, რომ წარმოდგენილ მასპინძელ ოჯახებში არსებული საცხოვრებელი გარემო მისივე წევრების ცხოვრების წესიდან და წარსულიდან გამომდინარე იქნება მაქსიმალურად უსაფრთხო მოხალისისათვის.

How to Request a Volunteer

Selection of communities in which Peace Corps Volunteers are placed is based on certain criteria mentioned above. Community and organization priorities must be consistent with IOD project objectives and activities. The organization and community should be open and supportive of working with a Volunteer and be willing to support the Volunteer's initiatives.

More than one organization can apply to host one Volunteer in the same community. Each organization should fill out the application form separately and along the form submit a cover letter explaining how they plan to host the Volunteer and divide up Volunteer's time. Supervisor for the Volunteer should also be identified in the letter.

If your organization or community group is interested in requesting a Peace Corps IOD Volunteer for the years of 2026 – 2028:

- Be sure to read the information in the attached packet carefully.
- Fill out completely the Request for a Peace Corps Volunteer form.
- State clearly on the Request for a Peace Corps Volunteer Form how the organization or community group will benefit from participation in Peace Corps' Individual and Organizational Development Project.
- The organization must prepare to submit three applications for potential host families who meet the criteria described above if the organization is shortlisted.
- E-mail the form to GE-IOD@peacecorps.gov.

The deadline for the submission of request forms is November 3, 2025.

Next Steps

- Peace Corps will review all Peace Corps Volunteer Request forms.
- Shortlisted organizations will be contacted to submit applications of 3 host families.
- Peace Corps program staff will travel to the regions to interview potential organizations for Volunteers.
- Peace Corps staff will survey host families suggested by the organizations.
- In April-May 2026 Peace Corps staff will conduct workshops for semi-finalist organizations.
- Volunteers are expected to arrive in June 2026.
- Selected organizations or community groups will be notified in August 2026.

მოხალისის მოწვევის შესახებ

ორგანიზაციისა და თემის შერჩევა, სადაც შემდგომში მოხალისე განთავსდება, გარკვეული კრიტერიუმებს ემორჩილება. (იხილეთ "შერჩევის კრიტერიუმი"). ორგანიზაციისა და თემის პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს IOD პროექტის მიზნებსა და საქმიანობებს. ორგანიზაციას/სათემო ჯგუფს უნდა სურდეს მოხალისესთან თანამშრომლობა და მოხალისის პროექტების მხარდაჭერა.

სურვილის შემთხევაში, შესაძლებელია ერთ მოხალისეს ერთსა და იმავე თემში უმასპინძლოს რამოდენიმე ორგანზიაციამ. ასეთ შემთხვევაში თითოეულმა ორგანიზაციამ უნდა შეავსოს სააპლიკაციო ფორმა. ფორმებს თან უნდა დაერთოს ერთობლივი წერილი, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ როგორ აპირებენ ორგანიზაციები მოხალისის დროის გადანაწილებას. ასევე უნდა განისაზღვროს, თუ ვინ იქნება მოხალისის ხელმძღვანელი.

თუ თქვენი ორგანიზაცია/სათემო ჯგუფი დაინტერესდა მშვიდობის კორპუსის ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების მოხალისესთან თანამშრომლობით 2026-2028 წლების განმავლობაში, საჭიროა:

- გაეცნოთ გზამკვლევს;
- სრულად შეავსოთ მოხალისის მოსაწვევი ანკეტა (ინგლისურ ენაზე);
- მოხალისის მოსაწვევ ანკეტაში განმარტოთ მოხალისის მოწვევის მიზანი და თუ როგორ დაეხმარება მოხალისესთან თანამშრომლობა ორგანიზაციას ან სათემო ჯგუფს;
- მეორე ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში, წარმოადგინოთ სამი პოტენციური ოჯახის სააპლიკაციო ფორმა ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების გათვალისწინებით;
- შევსებული ანკეტა გამოაგზავნეთ მისამართზე GE-IOD@peacecorps.gov.

საბუთების მიღების საბოლოო ვადაა **3 ნოემბერი, 2025.**

სააპლიკაციო პროცესის შემდეგი ეტაპები

- მშვიდობის კორპუსი განიხილავს შემოსულ ყველა ანკეტას.
- მომდევნო ეტაპზე გადასულ ორგანიზაციებს დავუკავშირდებით სამი პოტენციური მასპინძელი ოჯახის აპლიკაცის წარმოსადგენად.
- მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლები ესტუმრებიან პირველ ეტაპზე შერჩეულ ორგანიზაციებს/სათემო ჯგუფებს, გაეცნობიან ადგილობრივ საზოგადოებას.
- მშვიდობის კორპუსის თანამშრომელები ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ ოჯახებს ინდივიდუალურად ესტუმრებიან.

- 2026 წლის აპრილ-მაისში ჩატარდება სემინარები ნახევარ-ფინალისტი ორგანიზაციებისათვის, სადაც წინასწარ შერჩეული ორგანიზაციების დასწრება სავალდებულოა.
- მოხალისეები საქართველოში 2026 წლის ივნისში ჩამოვლენ.
- შერჩეული ორგანიზაციების საბოლოო სია ცნობილი გახდება 2026 წლის აგვისტოში.

FREQUENTLY ASKED QUESTIONS (FAQS)

Who are the Volunteers?

Volunteers are men and women, young and old, who come from diverse ethnic backgrounds and have a wide range of experiences. All Volunteers have a university degree, and many have obtained graduate degrees in their fields. Volunteers in the Individual and Organizational Development (IOD) Project will arrive with a variety of experience in management, business management, public administration, non-profit management, organizational development, etc. Not all volunteers will have all these skills. Since the needs of Georgia's organizations and communities are as varied as the volunteers' professional and academic backgrounds, Peace Corps makes every attempt to find the correct match.

How are the Volunteers trained?

Peace Corps Georgia provides eleven weeks of extensive Pre-Service Training to the Volunteers when they arrive in Georgia. This consists of training in Georgian Language, Georgian Culture, Health and Safety, and a technical orientation to the IOD project. Pre-Service Training addresses the knowledge, skills, and attitudes needed for Volunteers to accomplish project goals and objectives. The Volunteer must achieve specific competencies before they are qualified for Peace Corps service. Peace Corps Georgia ensures that the Volunteer is competent and capable of assuming their role as an advisor/consultant/facilitator.

How long will the Volunteer serve in the assigned organization/community?

The Volunteer's service is two years. Sometimes a Volunteer is unable to complete his/her full service for medical, family, or other reasons and may return home before the two-year period. Volunteers who wish to discontinue their service from Peace Corps, for whatever reason, may do so without recourse. The Peace Corps is not able to fill a vacant position if a Volunteer terminates service.

Does the Volunteer need a separate "position"?

No, the Volunteer will not substitute for a local employee, but rather will work with a Counterpart and other staff members to share experiences and transfer skills.

How are we going to communicate with the Volunteer?

Although the Volunteers intensively study Georgian language the organizations and community groups are asked to provide an English speaker whenever possible that will help the Volunteer in communication.

What type of working conditions does the Volunteer require?

The Volunteer should be treated with the same working conditions as his/her colleagues in the organization.

What are the business-related costs that the organizations should cover for the Volunteer?

Business-related costs are the costs associated with the organizational work at the same level as a local staff person. For example, internet, stationary, materials for a planned training event, travel or transportation costs, or per-diem if such travel is requested by the organization.

Can the Volunteer work in more than one organization?

Even though the IOD Volunteer is assigned to one or more organization where they will implement the primary project, Volunteers are community workers. Therefore, with the support of the Head of the organization, the Volunteers are encouraged to work with other organizations, businesses, community groups in the community, district, or region. Volunteers are encouraged to engage in activities that promote linkages and cooperation with other communities and organizations.

ხშირად დასმული შეკითხვები

ვინ არიან მოხალისეები?

მოხალისეები არიან განსხვავებული ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, პროფესიისა და გამოცდილების მქონე ქალები და მამაკაცები. ყოველ მათგანს აქვს სხვადახვა საფეხურის საუნივერსიტეტო განათლება. IOD პროექტში ჩართულ მოხალისეებს მიღებული აქვთ გამოცდილება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მენეჯმენტი, ფინანსები, საზოგადოებრივ საქმეთა ადმინისტრირება, არამომგებიანი ორგანიზაციების მენეჯმენტი, ორგანიზაციული განვითარება და ა.შ. რა თქმა უნდა, ყველა მოხალისეს არ ექნება თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაო კვალიფიკაცია. გამომდინარე იქიდან, რომ მოხალისეების გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მსგავსად, საქართველოს ორგანიზაციებისა და თემების მოთხოვნებიც განსხვავდება, მშვიდობის კორპუსი ცდილობს მოხალისეები მაქსიმალურად სწორად გაანაწილოს ორგანიზაციებში.

რა მომზადებას გადიან მოხალისეები საქართველოში?

საქართველოში ჩამოსვლისას მოხალისეებს უტარდებათ 11-კვირიანი ინტენსიური წინასამსახურეობრივი ტრენინგი, რომლის ფარგლებში ისინი სწავლობენ ქართულ ენას, კულტურას, ეცნობიან ინდივიდუალური და ორგანიზაციული განვითარების პროექტთან დაკავშირებულ ვითარებას საქართველოში, იღებენ ინფორმაციას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. წინასამსახურეობრივი მომზადების დროს ყურადღება გამახვილებულია იმ უნარ-ჩვევებზე, ცოდნასა და გამოცდილებაზე, რომელიც მოხალისეს პროექტის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში დაეხმარება. მოხალისემ კომპეტენტურობის გარკვეულ დონეს უნდა მიაღწიოს, ვიდრე ის კვალიფიცირებული გახდება მშვიდობის კორპუსში მუშაობისთვის. საქართველოს მშვიდობის კორპუსი უზრუნველყოფს, რომ თითოეული მოხალისე მზად იყოს ადეკვატურად შეასრულოს მრჩევლის, კონსულტანტის თუ ფასილიტატორის როლი ორგანიზაციაში.

რამდენი ხანი იქნება მოხალისე შერჩეულ ორგანიზაციაში/თემში?

მოხალისის სამსახურის ვადა ორ წელს შეადგენს. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც სამედიცინო, ოჯახური ან სხვა მიზეზის გამო მოხალისე ვადაზე ადრე წყვეტს სამსახურს და ბრუნდება შეერთებულ შტატებში. მოხალისეს, რომელსაც რაიმე მიზეზის გამო აქვს მშვიდობის კორპუსში საქმიანობის შეწყვეტის სურვილი, შეუძლია ეს გააკეთოს, თუმცა, მოხალისედ ვეღარ დაბრუნდება. სამსახურის ვადამდელი შეწყვეტის შემთხვევაში, მშვიდობის კორპუსი ვერ შეძლებს მოხალისის ჩანაცვლებას.

სჭირდება თუ არა მოხალისეს ცალკე საშტატო ერთეული?

არა, მოხალისე არ დაიკავებს ადგილობრივი თანამშრომლის სამუშაო ადგილს. ნაცვლად ამისა, იგი მჭიდროდ ითანამშრომლებს პარტნიორთან და ორგანიზაციის დანარჩენ პერსონალთან, რათა მოხდეს ცოდნის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება.

რა ენაზე უნდა ვესაუბროთ მოხალისეს?

მოხალისეები საქართველოში ჩამოსვლისთანავე იწყებენ ქართული ენის ინტენსიურ შესწავლას, მაგრამ შერჩეულმა ორგანიზაციებმა/სათემო ჯგუფებმა თუ შესაძლებელია უნდა უზრუნველყონ ინგლისურად მოსაუბრე, რომელსაც მოხალისესთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი ექნება.

რა ტიპის სამუშაო პირობები სჭირდება მოხალისეს ორგანიზაციაში?

მოხალისე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ისეთივე სამუშაო პირობებით, როგორც მისი კოლეგები.

მოხალისის სამსახურთან დაკავშირებული რა ხარჯების ანაზღაურება ევალება ორგანიზაციას?

ორგანიზაციამ უნდა აანაზღაუროს სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა ის ხარჯი, რომელსაც ის სხვა ადგილობრივი თანამშრომლებისთვის ანაზღაურებს, მაგალითად, ინტერნეტი, საკანცელარიო ნივთები, ტრეინინგებისთვის განკუთვნილი მასალა, მგზავრობის, ტრანსპორტირებისა და სხვა სამივლინებო ხარჯები, იმ შემთვევაში თუ მგზავრობა ორგანიზაციის სამუშაოს ნაწილია.

შეუძლია თუ არა მოხალისეს ითანამშრომლოს ერთდროულად რამოდენიმე ორგანიზაციასთან?

მიუხედავად იმისა, რომ მოხალისე განთავსებულია მშვიდობის კორპუსის მიერ შერჩეულ ერთ ან რამდენიმე ორგანიზაციაში, ისინი ემსახურებიან მთელს თემს. ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მოხალისის პარტნიორის დახმარებით მოხალისეს უფლება აქვს ჩაერთოს ნებისმიერ პროექტში ადგილობრივ თუ რეგიონულ დონეზე. მოხალისეები მოტივირებულები არიან ჩაერთონ ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციებს, ბიზნესს, საზოგადოებებსა და თემებს შორის კავშირების გამყარებას.

Does the Volunteer receive a salary?

No. As a Volunteer, they do not receive a salary. Peace Corps Georgia provides the Volunteer with a monthly living allowance to take care of personal expenses such as food, books, toiletries, personal travel, etc.

Where will the Volunteer live?

The Volunteer is required to live with a local family for at least the first 3 months of service. Some Volunteers and Host Families may choose to continue this relationship for the full two years. Other Volunteers may choose a more independent living arrangement after the initial 3 months. Host families must provide a separate room in the home for the Volunteer and provide daily meals. Peace Corps will provide the Host Family with a small monthly payment of 730 GEL to help cover the costs of food, electricity, gas, water, etc. From October through March Volunteers will pay host families an additional 95 GEL for heating the Volunteer room.

Why do the Volunteers live with a Host Family?

The Peace Corps Georgia Homestay program aims at building and deepening cross-cultural relationships between the two nations – Georgians and Americans. Peace Corps believes that while living at the host family, the Volunteer gains the understanding of the Georgian family's lifestyle and culture, while the host family also learns about American culture and lifestyles. Georgia has a traditional extended family culture and one of the best ways for a Volunteer to appreciate Georgian culture, adapt to the local community's customs and traditions, develop Georgian language fluency, integrate into the community.

Who will select the Host Family?

The applicant organizations should submit three recommended families who are willing to host a Volunteer by the application deadline and then support Program Support Specialist to meet with the pre-selected families. The Host Family is selected by Peace Corps Georgia. Peace Corps Program Support Specialist will visit pre-selected potential Host Families to ensure that they meet the housing criteria. The Volunteer may not live with their Organization Director or the Counterpart.

What are the criteria for selecting the Host Family?

The Host Family must be willing to accept the Volunteer as their family member for the period of 3 to 24 months, make him/her familiar with Georgian culture and traditions and assist him/her in learning Georgian language.

What are the Host Family's responsibilities?

Host Families should be open and willing to accept the Volunteer into their home and to involve them in family activities. Families will be asked to support the Volunteer and to assist with their integration into Georgian community life. However, Host Families should expect the Volunteer to be independent, self-reliant, and self-sufficient. Families should be open and willing to learn about American culture and to respect American values that the Volunteer holds such as individualism, the need for privacy, and control of their own time. Host Families should be willing to assist the Volunteer to study Georgian language and Georgian culture and traditions.

Who provides for the Volunteer’s medical care?

The Peace Corps Medical Officer (PCMO) is responsible for the volunteer’s health. PCV contacts the PCMO in case of medical issues. PCMOs provide extensive health training and Safety and Security Manager provide the safety training. They are responsible for supporting the Volunteer’s medical and safety needs throughout their two years of service. If there is a medical emergency, if a Volunteer is seriously ill or has been seriously injured, Supervisor, Counterpart, or Host Family must help the Volunteer contact the Peace Corps Medical Office and, if necessary, arrange for emergency transportation to the closest hospital or to Tbilisi. During infections outbreak or other health related risks in the community, the host organization should inform the Volunteer and Peace Corps and support the Volunteer in taking relevant measures and adhering to regulations.

იღებს თუ არა მოხალისე გასამრჯელოს?

მოხალისე არ იღებს ხელფასს ან გასამრჯელოს მუშაობისათვის. მშვიდობის კორპუსი საქართველოში მას აძლევს მცირე თანხას, რომელიც მოხალისეებს საშუალებას აძლევს დაფარონ პირადი ხარჯები, როგორიცაა საკვები, წიგნები, მგზავრობს გადასახადი და ა.შ.

სად უნდა იცხოვროს მოხალისემ?

პირველი 3 თვის განმავლობაში მოხალისეები მასპინძელ ოჯახებში ცხოვრობენ. ოჯახში ცხოვრების ვადა შეიძლება შეიცვალოს მშვიდობის კორპუსის მიერ. ზოგი მოხალისე და მასპინძელი ოჯახი გადაწყვეტს, გააგრძელონ ერთად ცხოვრება ორი წლის განმავლობაში. ზოგიც კი სამი თვის შემდეგ დამოუკიდებლად ცხოვრებას ამჯობინებს. ოჯახმა უნდა გამოუყოს მოხალისეს ცალკე ოთახი და უზრუნველყოს ყოველდღიური კვებით. მშვიდობის კორპუსი გამოჰყოფს ოჯახისათვის მცირე ყოველთვიურ ანაზღაურებას 730 ლარის ოდენობით, რათა ოჯახმა შეძლოს პროდუქტის, ელექტროენერგიის, გაზისა თუ წყლის ხარჯების დაფარვა. ოქტომბრიდან მარტის ჩათვლით მოხალისე დამატებით გადაიხდის 95 ლარს თავისი ოთახის გათბობის ხარჯების დასაფარად.

რატომ ცხოვრობენ მოხალისეები მასპინძელ ოჯახებთან ერთად?

მშვიდობის კორპუსის მასპინძელი ოჯახების პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქართველ და ამერიკელ ხალხს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას. მშვიდობის კორპუსი მიიჩნევს, რომ მასპინძელ ოჯახთან ცხოვრებით, მოხალისე უკეთ ეცნობა ქართული ოჯახის ტრადიციებსა და ცხოვრების წესს, ისევე როგორც ქართველი ოჯახი უკეთ შეიცნობს ამერიკელი ხალხის კულტურასა და ცხოვრების წესს. საქართველო გამოირჩევა ტრადიციული ოჯახური კულტურით, მოხალისეს ქართულ ოჯახთან ცხოვრება გაუადვილებს ადაპტაციის პროცესს, თემში ინტეგრაციას და დაეხმარება მას უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ოჯახში უკეთ გაითავისებს ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს და ადვილად შეითვისებს ქართულ ენას.

ვინ უნდა შეურჩიოს მოხალისეს მასპინძელი ოჯახი?

ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს სამი რეკომენდირებული ოჯახის მონაცემები სააპლიკაციო პერიოდის დასრულებამდე და შემდგომ დაეხმაროს პროგრამის სპეციალისტს ოჯახებთან შეხვედრის ორგანიზებაში. მასპინძელ ოჯახს არჩევს მშვიდობის კორპუსი. მშვიდობის კორპუსის პროგრამის სპეციალისტი ესტუმრება წინასწარ შერჩეულ ოჯახებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი აკმაყოფილებენ ოჯახის შერჩევის კრიტერიუმებს. მოხალისემ არ უნდა იცხოვროს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან პარტნიორის ოჯახში.

რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მაპინძელი ოჯახი?

მასპინძელ ოჯახს უნდა ჰქონდეს სურვილი მიიღოს ამერიკელი მოხალისე, როგორც ოჯახის წევრი 3-24 თვის განმავლობაში, გააცნოს მას ქართული ტრადიციები, კულტურა და დაეხმაროს ენის შესწავლაში. (იხილეთ: შერჩევის კრიტერიუმი/საცხოვრებელი პირობები).

რა მოვალეობები ეკისრება მასპინძელ ოჯახს?

მასპინძელ ოჯახს უნდა სურდეს მოხალისის ოჯახის წევრად მიღება. ოჯახი უნდა დაეხმაროს მოხალისეს ადგილობრივი თემის გაცნობაში, უნდა აღიქვას მოხალისე, როგორც დამოუკიდებელი და თვითმყოფადი პიროვნება, ჰქონდეს სურვილი, გაიცნოს ამერიკული კულტურა და პატივი სცეს ამერიკულ ღირებულებებს, როგორებიცაა ინდივიდუალიზმი და პირადულობა. ოჯახს უნდა ჰქონდეს სურვილი, დაეხმაროს მოხალისეს ქართული ენისა და კულტურის შესწავლაში.

ვინ უწევს მოხალისეს სამედიცინო დახმარებას საჭიროების შემთხვევაში?

მოხალისის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელია მშვიდობის კორპუსის სამედიცინო ოფიცერი-ექიმი, რომელსაც მოხალისე უკავშირდება ავადმყოფობის შემთხვევაში. მშვიდობის კორპუსის ექიმები ინტენსიურ ტრეინინგს უტარებენ მოხალისეებს. უსაფრთხოების მენეჯერი ატარებს ტრენინგებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ისინი არიან პასუხისმგებელნი მოხალისის ინფორმირებაზე სამედიცინო და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით და მისთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენაზე მსახურობის ორი წლის განმავლობაში. დაშავების ან ხანგრძლივი ავადმყოფობის შემთხვევაში ხელმძღვანელი, პარტნიორი და მასპინძელი ოჯახი უნდა დაეხმაროს მოხალისეს მშვიდობის კორპუსის ექიმთან დასაკავშირებლად, საჭიროების შემთხვევაში მოახერხოს მოხალისის ჩამოყვანა უახლოეს საავადმყოფოში ან თბილისში. ინფექციის გავრცელების ან სხვა ჯანმრთელობისთვის საშიში სიტუაციების შემთხვევაში, მასპინძელმა მხარემ შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მოხალისეს, მშვიდობის კორპუსს და ხელი შეუწყოს მოხალისეს საჭირო ღონისძიებებისა და რეგულაციების დაცვაში.

CONTACT INFORMATION

If you have additional questions or concerns, please contact Peace Corps program staff.

Program Manager
Tika Revishvili Mobile: 595 90 85 55 e-mail: trevishvili@peacecorps.gov
Program Support Specialist
Ketevani Tatikiani Mobile: 511 10 52 45 e-mail: ktatikiani@peacecorps.gov
Office Address
Peace Corps Georgia 118 Sairme St. Tbilisi 0125 Georgia

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციისათვის/შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით მშვიდობის კორპუსის პროგრამის თანამშრომლებს.

პროგრამის მენეჯერი
თიკა რევიშვილი **მობილური:** 595 90 85 55 **ელ.ფოსტა:** trevishvili@peacecorps.gov
პროგრამის სპეციალისტი
ქეთევანი ტატიკიანი **მობილური:** 511 10 52 45 **ელ.ფოსტა:** ktatikiani@peacecorps.gov
ოფისის მისამართი
მშვიდობის კორპუსი/საქართველო საირმის ქ. 118 თბილისი 0125, საქართველო